ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში

2020

წლიური ანგარიში

თავმჯდომარის მიმართვა

წლიური ანგარიში მაძლევს შესაძლებლობას გაგაცნოთ საანგარიშო პერიოდში თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა და სამომავლოდ დასახული გეგმები, რომელიც ჩვენი დედაქალაქის საკეთილდღეოდ განხორციელდება. დედაქალაქისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას. ვხელმძღვანელობთ თანაქალაქელების პრიორიტეტების და ინტერესების გათვალისწინებით.

თუმცა, აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ, რომ წლევანდელი წელი სრულიად განსხვავებულია ყველა ჩვენთაგანისთვის მსოფლიო პანდემიით გამოწვეული ვითარებიდან გამომდინარე. როგორც პასუხისმგებელი პოლიტიკური ძალა, სრულად ვაცნობიერებთ ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს და ახალი კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაფერს ვაკეთებთ. ამ დაავადებასთან გამკლავება თითოეული ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. დარწმუნებული ვარ, ერთობლივი მუშაობით და ძალისხმევით, საზოგადოების და კერძო სექტორის მხარდაჭერით, კრიზისს დავძლევთ.

აქვე, მინდა მადლობა გადავუხადო ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს, საჯარო სექტორის წარმომადგენლებს და განსაკუთრებით ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებს, რომლებიც ჩართულნი არიან ამ მძიმე პერიოდში ჩვენი მოქალაქეების დახმარების პროცესში.

მიუხედავად არსებული ურთულესი სიტუაციისა, მიმდინარე წლის განმავლობაში თბილისელებისთვის ყველა პრიორიტეტული მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. მათ შორის: ხორციელდება საკმაოდ მასშტაბური პროექტები, ინფრასტრუქტურის მიმართულებით, სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით მიმდინარე რეფორმა, რომლის ფარგლებშიც სისტემა სრულიად ახალ სტანდარტებზე გადადის. უნდა გამოვყოთ ისტორიული არეალების რეაბილიტაციის პროექტები და დედაქალაქის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი - ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, რომლის ფარგლებშიც. მიმდინარეობს არსებული რეკრეაციული ზონების განახლება-რეაბილიტაცია და ახალი, უპრეცედენტოდ მასშტაბური მწვანე სივრცეების შექმნა.

ვიმედოვნებ, 2021 წელი დატვირთული იქნება ჩვენი ქალაქის და თანაქალაქელების კეთილდღეობისკენ მიმართული პროექტებით.

გიორგი ტყემალაძე

შინაარსი

თავმჯდომარის მიმართვა----------2

თბილისის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულო----------4

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი ----------11

ტრანსპორტი----------12

მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები----------13

ეკოლოგია და გამწვანება----------18

ჯანმრთელობის დაცვა ----------23

მუნიციპალური ქონების მართვა----------26

გეოგრაფიული ობიექტების სახელდება----------28

საკრებულოს სხვა აქტივობები----------29

მუნიციპალიტეტის ინიციატივები პანდემიის პირობებში ----------31

საგარეო ურთიერთობები----------33

წარმომადგენლობის საქმიანობა სამგორის სამაჟორიტარო ოლქში----------34

თბილისის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო – **მუნიციპალიტეტის საკრებულო.**

მუნიციპალიტეტის საკრებულო აირჩევა **4 წლის ვადით**, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებზე, **4 წლის ვადით,** ამომრჩევლებმა აირჩიეს საქართველოს დედაქალაქის თბილისის თვითმმართველი ორგანოს – საკრებულოს **50 წევრი,** აქედან **25 წევრი –** ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო **25 წევრი –** პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე.

2017 წლის 14 ნოემბერს შედგა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს სხდომა.

საკრებულომ თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით აირჩია მუნიციპალიტეტის **საკრებულოს თავმჯდომარე.**

საკრებულოს უფლებამოსილება და საქმინობა განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად.

საკრებულოს აპარატის ორგანიცაზიული საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა

საკრებულოს მუნიციპალიტეტის საქმინობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

საკრებულოს აპარატის ამოცანებია: საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების, საკრებულოს წევრების,

კომისიების, ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური.

აპარტის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარე.

აპარატს ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე.



VI მოწვევის საკრებულოში ფუნქციონირებს 11 კომისია და 5 ფრაქცია.

საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობის შედეგად ხდება დედაქალაქის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა:

- **18** სხდომა
- 20 ბიუროს სხდომა



საკრებულოს სხდომებზე განხილულ იქნა სულ 546 საკითხი და მიღებული იქნა 406 **განკარგულება** და 140 **დადგენილება**.

საკრებულოს კომპეტენციების გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები დედაქალაქის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, მათ შორის:

- ურბანული განვითარება;
- ტრანსპორტი;
- ეკოლოგია და გამწვანება;
- სოციალური უზრუნველყოფა და ჯანდაცვა;

- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა;
- ეკონომიკური პოლიტიკა;
- მუნიციპალური ქონების მართვა;
- გეოგრაფიული ობიექტების სახელდება

საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად დედაქალაქში განხორციელდა და ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები და ღონისძიებები.

გაცემული რეკომენდაციების და ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საკრებულოს, ბიუროს სხდომები და კომისიების საქმიანობა მიმდინარეობს ჯანდაცვის რეკომენდაციების სრული დაცვით.

მუშაობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია

კომისიის მიზანია: ქალაქ თბილისის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, სამშენებლო ბიზნესის სტიმულირება, საქალაქო მეურნეობის დარგების განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად, ინფრასტრუქტურის მოწყობის, განვითარებისა და რეაბილიტაციის პროგრამების დაგეგმვა და სამართლებრივი აქტების პროექტებისა და დასკვნების შემუშავება.

კომისიის საქმიანობა:

* განიხილავს საკრებულოს მიერ დედაქალაქში ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის საკითხებს და ამზადებს შესაბამის დასკვნებს.
* თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს.
* თავის საქმიანობას ახორციელებს დებულების, საკრებულოს რეგლამენტისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე

კომისიის შემადგენლობაშია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11 წევრი

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის მიერ გაიმართა 22 სხდომა

კომისიის 22 სხდომაზე განხილულია დღის წესრიგით გათვალისწინებული 180 საკითხი.

დედაქალაქის მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმის იმპლემენტაციის პროცესში, კომისიის სხდომებზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის #39-18 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 367 ცვლილება (დადებითი 335), დამატებითი შესწავლის მიზნით გადაიდო 11 ზონალური ცვლილება, უარი ეთქვა 2 ზონალურ ცვლილებას.

კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 104 პროექტი (1 უარი, 3 გადაიდო დამატებითი შესწავლის მიზნით).

გარემოს დაცვის კომისია

მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და/ან წარმოდგენილ პროექტებზე დასკვნის მომზადება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება:

* გარემოს დაცვას
* გარემოს დაცვის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისათვის ხელშეწყობას
* გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით უცხოური ინვესტიციების მოზიდვას
* გარემოს დაცვის ღონისძიებათა აქტიურ პროპაგანდას, სხვადასხვა გარემოსდაცვითი პროგრამების შემუშავებას
* გარემოს არსებული მდგომარეობის შესწავლა-შეფასებასა და მისი გაუმჯობესების მიზნით ღონისძიებათა განსაზღვრას
* ბუნებრივ გარემოზე საწარმოო საქმიანობის ზეგავლენას
* გამწვანება-განაშენიანებას, დაზიანებული და განადგურებული ტერიტორიების აღდგენას
* ქალაქში სარეკრეაციო სივრცეების შექმნას
* საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციების აღკვეთასა და პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავებას
* შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის, მათი პოპულაციების მართვის წესს და ასევე, უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას
* დედაქალაქის ტერიტორიაზე წიაღისა და წიაღისეულის დაცვასა და აღწარმოებას

კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება 8 წევრით.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა გარემოს დაცვის კომისიის 17 სხდომა.

კომისიის მიერ შესწავლილი და განხილული იქნა 100 საკითხი.

საქმიანობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

VI მოწვევის საკრებულოს შემადგენლობაში შეიქმნა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ რომელის შემადგენლობა განისაზღვრება 30 წევრით.

ფრაქციის საქმიანობას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:

* ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის საჯაროობა
* დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა
* ფრაქციაში გაწევრიანებისა და ფრაქციიდან გასვლის ნებაყოფლობითობა
* თანასწორობა კანონის წინაშე

ფრაქცია შემქნილია საერთო პლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელებისა და სქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით.

ფრაქციის მიერ საანგარიშო პეროიდში ჩატარდა 16 სხდომა

ფრაქციის სხდომებზე განხილულ იქნა 21 საკითხი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი

თბილისის 2020 წლის ბიუჯეტი 217 მილიონ 580 ათასი ლარით გაიზარდა. მიმდინარე წლის გაზრდილმა ბიუჯეტმა რეკორდულ ნიშნულს მიაღწია და 1 მილიარდ 239 მილიონ ლარი შეადგინა.

თბილისის მთავარი ფინანსური დოკუმენტი შემდეგ მიმართულებებზე გადანაწილდა:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა და განვითარება
- ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება
- ეკონომიკის განვითარებისა ხელშეწყობა
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
- განათლება
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ბოლო ცვლილება განპირობებული იყო პანდემიად აღიარებული კორონა ვირუსის -„COVID 19“-ის გავრცელებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტებისათვის საგადასახადო შემოსავლებში მოსალოდნელი დანაკლისის გამო. საგადასახადო შემოსავლების საორიენტაციო საპროგნოზო მაჩვენებელი თბილისისთვის შემცირდა 95 570,5 ათასი ლარით. ასევე, შემცირდა სახელმწიფო ბიუჯეტით თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გათვალისწინებული სპეციალური ტრანსფერი 35 000,0 ათასი ლარით. შესაბამისად, ბიუჯეტის მოცულობამ შეადგინა 1 101 648,1 ათას ლარი.

ტრანსპორტი

დედაქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკა მიმართულია მაქსიმალურად მოერგოს თანამედროვე ქალაქის სტანდარტებს. თბილისი განიტვირთოს საცობებისგან, გაუმჯობესდეს ეკოლოგიური მდგომარეობა და მოქალაქეებმა ავტომობილების ნაცვლად, უპირატესობა საზოგადოებრივ ტრანსპორტს მიანიჭონ.

- თბილისის მუნიციპალიტეტი სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით აქტიურად მუშაობს. ავტობუსების პარკის განახლების პროცესი გრძელდება და მის ფარგლებში, დედაქალაქში უკვე „MAN”-ის, “ISUZU”-ს და “BMC” -ის მარკის 550 ახალი ავტობუსია;
- 2021 წლის ბოლოსთვის თბილისის ავტოპარკი სრულად განახლდება.
- ავტობუსებთან ერთად, პროექტის ფარგლებში, შესყიდულია 300 ერთეული FORD-ის მარკის, დიზელის ძრავზე მომუშავე, ევრო 5 ემისიის, ეკოლოგიურად სუფთა მიკროავტობუსი.
- კომპანია "სისტრას" მიერ შემუშავებულია ახალი სამარშრუტო სქემის ეტაპობრივი დანერგვის პროცესი დაიწყო.
- ახალი საავტობუსე ქსელის გაშვებით, საშუალო მოცდის დრო 7 წუთამდე შემცირდა, ხოლო ავტობუსებში მგზავრთა ტევადობა საბოლოოდ 2.5-ჯერ გაიზრდება, რაც მოქალაქეების სწრაფ და კომფორტულ გადაადგილებას უზრუნველყოფს.
- ახალი მიკროავტობუსების მძღოლების ანაზღაურება ფიქსირებული იქნება, რითიც მოხდება მარშრუტზე მოძრაობის გრაფიკიდან გადაცდომის და მგზავრის ფეხზე დგომის პრევენცია. მიკროავტობუსების ხაზების მონიტორინგი თანამედროვე GPS და მგზავრთა მთვლელი სისტემების გამოყენებით განხორციელდება. მგზავრობის საფასურის გადახდა კი, მხოლოდ ბარათით იქნება შესაძლებელი.
- განხორციელდება პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს დედაქალაქში მიმდინარე სატრანსპორტო რეფორმის ფარგლებში, თბილისის მეტროპოლიტენისთვის მოძრავი შემადგენლობის შეძენას და მეტროს დეპოს მშენებლობა/რეკონსტრუქციას, ასევე შემაერთებელი გვირაბის რეაბილიტაციას. პროექტს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (**EBRD**) 75 მილიონი ევროთი დააფინანსებს, კერძოდ:

- 4 ვაგონიანი 10 მოძრავი შემადგენლობის შეძენა - 60 მილიონი ევრო
- მეტროს ნაძალადევის დეპოს მშენებლობა/რეკონსტრუქცია - 10 მილიონი ევრო
- საბურთალოს და ვაგზლის მოედნის ხაზის შემაერთებელი გვირაბის რეაბილიტაცია - 5 მილიონი ევრო
- საათობრივი ზონალური პარკირების არეალები ფართოვდება. არსებულს არეალებს დაემატა პეკინის და ვაჟა- ფშაველას გამზირები და მიმდებარე ქუჩები.

მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები

2020 წელს, თბილისში განხორციელდა და ასევე დაიწყო მასშტაბური მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები.

მათ შორის:

- დასრულდა ილია ჭავჭავაძის გამზირის სრული რეაბილიტაცია. საერთო ჯამში, ჭავჭავაძის გამზირზე ასფალტის საფარი 60 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაიგო. სარეაბილიტაციო არეალი ჯამში, 2.5 კილომეტრს მოიცავდა. პროექტის ფარგლებში, შეიცვალა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა სანიაღვრე ქსელს, მოეწყო ბორდიური, ტროტუარი მოპირკეთდა ბუნებრივი ქვის ფილებით, გამზირზე მოეწყო ველობილიკი, ტროტუარის გასწვრივ კი უსაფრთხოების მოაჯირები და სხვა სახის ბარიერები დამონტაჟდა.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შშმ პირთათვის გამზირი სრულად ადაპტირდა. გარე განათების ქსელი შეიცვლა და დამონტაჟდა ახალი, თანამედროვე სტანდარტების და დიზაინის ლედ განათების სისტემა, ელექტროსადენები კი მიწის ქვეშ მოექცა. ასევე, დამონტაჟდა სახანძრო ჰიდრანტები, ნარჩენების შემკრები კონტეინერები, მოეწყო ახალი გაჩერებები და საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის გამოყოფილი სპეციალური ზოლები

- გლდანის რაიონში, ვეკუასა და ხიზანიშვილის ქუჩების კაპიტალური რეაბილიტაცია განხორციელდა. აღნიშნული ქუჩები ცენტრალური დანიშნულებისაა, რომელთა საშუალებითაც, გლდანის რაიონის მოსახლეობა, როგორც სხვა უბნებს, ისე შიდა საუბნო გზებს უკავშირდება.
- მუხრან მაჭავარიანის ქუჩისა და მარშალ გელოვანის გამზირის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტი მიმდინარეობს

- თბილისში პირველი მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობა დაიწყო. პირველი მულტიფუნქციური ცენტრი ვარკეთილში აშენდება და 10 000-ზე მეტ ბენეფიციარს მოემსახურება.

- მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი დიდ დიღომში ცენტრი, რომელიც 9 000 კვ.მ ტერიტორიაზე აშენდება, 10 000-ზე მეტი ბენეფიციარის მომსახურებას შეძლებს. მულტიფუნქციურ ცენტრში ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთისა და ტანვარჯიშისთვის სპორტული დარბაზები განთავსდება. ფიტნეს-დარბაზთან ერთად, ტრენაჟორების სივრცე მოეწყობა. ცენტრში ორი საცურაო აუზი, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკა; სახელოვნებო სკოლა; საკონფერენციო დარბაზი; ბოულინგისა და სამაგიდო თამაშების სივრცე; სპორტული ინვენტარის მაღაზია და კაფე იფუნქციონირებს



- ურბანული გავითარების მიმართულებით თბილისის განვითარების ფონდის მიერ პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში გრძელდება თბილისის ისტორიულ ნაწილში მდებარე შენობა-ნაგებობების, ისტორიული ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რისთვისაც მიმდინარე წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილია დაფინანსება დაახლოებით 60 მილიონი ლარის ოდენობით.
    - გუდიაშვილის მოედანი
    - ლერმონტოვის ქუჩა
    - ახოსპირელის ქუჩა
    - რომის ქუჩა
    - აბო თბილელის ქუჩა
    - საიათნოვას ქუჩა

- ასევე, პროექტ „ახალი ტფილისის“ მსხვილი არეალების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში ფონდის მიერ ხორციელდება დედაენის და 9 მარტის ბაღების რეაბილიტაცია. მისი ბიუჯეტი 17.5 მილიონი ლარია. ამ ეტაპზე რესტავრაცია-რეაბილიტაციის II ეტაპით გათვალისწინებულ სამუშაოები მიმდინარეობს.
-

- დარეჯან დედოფლის სასახლის სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა.



ეკოლოგია და გამწვანება

დედაქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა.
თბილისს კიდევ არაერთი ლამაზი დასასვენებელი, მწვანე სივრცე შეემატა
მათ შორის:

- ვარკეთილ 3-ში, ორ ჰექტარ ტერიტორიაზე, ახლადრეაბილიტირებული სკვერი გაიხსნა. პროექტის ფარგლებში მოეწყო საბავშვო და სპორტული მოედნები, საფეხმავლო ბილიკები დამონტაჟდა სარწყავი, სანიაღვრე და ვიდეომეთვალყურეობის სისტემები სრულად განახლდა გარე განათება
- ნაძალადევის რაიონში, ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკის (ე.წ. კიკვიძის პარკის) რეაბილიტაცია დასრულდა. რეაბილიტაციის ფარგლებში, პარკს შეუერთდა მიმდებარედ არსებული აუთვისებელი ტერიტორია, მოეწყო სპორტული და სამაგიდო თამაშების მოედნები, დასასვენებელი პავილიონები, წყალარინების, სარწყავი, განათებისა და ვიდეომეთვალყურეობის სისტემები

  პარკის ტერიტორიაზე ასევე, განთავსდა შინაური ცხოველების სასეირნო სივრცე, ველო და სარბენი ბილიკები. ერისთავის ქუჩის მხრიდან კი, მოეწყო პარკში შესასვლელი პანდუსი. რეაბილიტირდა პარკში არსებული შენობები და შადრევანი

- საბურთალოს რაიონში, ალექსიძის ქუჩაზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სარეკრეაციო ზონა მოეწყო.
- დიდ დიღომში, ანბანის ინსტალაციის მიმდებარე ტერიტორიაზე, რამდენიმესართულიანი შენობა უნდა აშენებულიყო, ადგილმონაცვლეობის შედეგად კი, ამ ტერიტორიაზე ახალი სკვერი მოეწყო

- მზიურის პარკის რეგილიტაცია დასრულდა და დედაქალაქს კიდევ ერთი განახლებული რეკრეაციული სივრცე შეემატა

- ბოლო ორი წლის განმავლობაში თბილისში დაირგო 91 471 ძირი ხე და ბუჩქი, მილიონ ძირზე მეტი სხვადასხვა ჯიშის სეზონური ყვავილი; რეაბილიტირდა არაერთი პარკი და შადრევანი; მოეწყო და გამწვანდა გზაგამყოფი კუნძულები; ჩატარდა ტყის ინვენტარიზაცია; განხორციელდა ფიტოსანიტარიული კვლევა და შეიწამლა 337 977 მწვანე ნარგავი; მტკვრის ორივე სანაპიროს დაუბრუნდა თბილისის მშვენება-ჭადრები; აღმაშენებლის გამზირს ნეკერჩხლის ხეები ამშვენებს

მნიშვნელოვანი სამომავლო პროექტები:

1. თბილისის ცენტრალური პარკი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა და მისმა ოჯახმა კერძო მესაკუთრეებისგან გამოისყიდა და თბილისის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ გადასცა, 36 ჰექტარზე განთავსდება და მის მშენებლობას ფონდი "ქართუ" დააფინანსებს, რომლის ღირებულება რამდენიმე ათეული მილიონი ლარია.

   პროექტის მიხედვით ეს იქნება მულტიფუნქციური სივრცე, სადაც გათვალისწინებულია ბოტანიკური ბაღი, იაპონური ბაღი, ფრანგული ბაღი, ამფითეატრი, შადრევანი, სკეიტ პარკი, სასაზღვრო სატყეო ზონა, შიდა სატყეო სექტორი, საგანმანათლებლო ცენტრი, მდელო, ზიპლაინი, სპორტის ზონა და კვების ზონა. ასევე, მოეწყობა ცხოველების სასეირნო სივრცე, პანორამული პლატფორმა, გუბურა, თოკების პარკი, საფეხმავლო ხიდი, სამთო ველოსიპედების ბილიკები, სტრიტბოლის სივრცე, არეალები ლაშქრობისა და კლდეზე ცოცვისთვის, ხოლო პარკის გარშემო იფუნქციონირებს სამი ავტოსადგომი.

   პარკში განთავსდება ცხენოსნის ქანდაკება, როგორც ამ ტერიტორიის სიმბოლო.

   პროექტის განხორციელებით, დედაქალაქს უმნიშვნელოვანესი რეკრეაციული არეალი შეემატება, რომელიც თბილისის ეკოლოგიურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

2. კიდევ ერთი პროექტი ფონდ „ქართუს“ სრული დაფინანსებით - თბილისის ურბანული ტყის ლანდშაფტის აღდგენის და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში, კუს ტბისა და მთაწმინდის პარკის მიმდებარედ, სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სივრცეებში მოხდება მარადმწვანე და ფოთლოვანი ხეების, ასევე ბუჩქოვანი და ბალახეული საფარის განაშენიანება და რეაბილიტაცია. აღნიშნულ ტერიტორიაზე მოეწყობა დასასვენებელი სივრცეები და საპიკნიკე ადგილები, ასევე, როგორც ტურისტული, ისე სპორტული საფეხმავლო ბილიკები; ექსტრემალური სპორტის მოყვარულთათვის კი გათვალისწინებული იქნება გზები სამთო ველოსიპედებისა და სხვა სპორტული აქტივობებისთვის.

ჯანმრთელობის დაცვა

ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესებაზე ხელისუფლება აქტიურად მუშაობს და მათ შორის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ სასწრაფო-სამედიცინო სამსახურის მუშაობის ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებაა.
სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოპარკს 60 ავტომობილი დაემატა

60 მანქანიდან, 45 სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომობილია, 15 კი მაღალი გამავლობის რეანომობილი, რომელიც კრიტიკულ პაციენტთა ტრანსპორტირებისთვის გამოიყენება



ჯანდაცვის მიმართულებით ბიუჯეტს ახალი პროგრამა დაემატა, რომელიც გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსებას გულისხმობს. იზრდება აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების აბილიტაციის პროგრამის დაფინანსებაც. ორივე მიმართულება უმნიშვნელოვანესია და ასეულობით ბენეფიციარის მდგომარეობის გააუმჯობესებას ისახავს მიზნათ.

დედაქალაქის მოსახლეობისათვის ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები

ჯანდაცვის სფეროში:

- დაავადებათა სკრინინგი
- გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამა
- „C“ ჰეპატიტის დიაგნოსტიკა
- ტრანსპლანტაცია
- ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება
- გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება

სოციალურ სფეროში:

- კომუნალური სუბსიდირება
- სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება
- 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება
- სოციალურად დაუცველი მოსწავლეების მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებსა და მოწავლე–ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში სწავლების დაფინანსება
- სოციალურად დაუცველი მოსწავლეების ხელოვნების სკოლებში სწავლების დაფინანსება
- სოციალურად დაუცველი მოსწავლეების სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებზე სწავლების დაფინანსება
- სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია)

- სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები
- ომის ვეტერანთა დახმარება
- მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა
- თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა
- სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება
- სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება
- ,,ვორლდ ვიჟენ საქართველოს" სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება
- სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება
- შინმოვლის თანადაფინანსება
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაცია და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფა
- სოციალური მზრუნველობის სააგენტო
- სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში
- უფასო სასადილოები რაიონებში
- დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია
- საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელ-ტრანსპორტით და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება
- წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში
- გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები რაიონებში

მუნიციპალური ქონების მართვა

კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა და დაუკანონებელ ფართებში მცხოვრებთა დაკმაყოფილების პროცესი გრძელდება.

თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად:

- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ 250-მდე ოჯახს, საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად და ბინებით უზრუნველსაყოფად, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად გადაეცა.
- ასევე, 224 ოჯახს ის საცხოვრებელი ფართები, სადაც წლობით ცხოვრობდნენ, საკუთრებაში გადაეცათ.

უმნიშვნელოვანესია სამშენებლო კომპანიების მიერ დაზარალებული მოქალაქეების დახმარება და გაჩერებული მშენებლობების დასრულება. თბილისის მერია და საკრებულო, კერძო სამშენებლო კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობით, აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიმართულებით აქტიურად მუშაობს.
კერძოდ, საკრებულოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებით, სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ ფართებს მიიღებენ:

სამშენებლო კომპანია „ოლიმპიური ვარსკვლავის“ დაზარალებული 400-მდე ოჯახი

- ✓ შარტავას ქ. N43

ცენტრ პოინტის მიერ დაზარალებული 2500 მდე ოჯახი

- ✓ შარტავას ქ. N3-ში
- ✓ პეტრე იბერის ქუჩაზე
- ✓ მარიჯანის ქუჩა N2-ში
- ✓ კოსმონავტების ქ N 45-47-49-ში
- ✓ ბოხუას ქ. N10-ში (ა.დ. ბლოკი)
- ✓ აკაკი ბაქრაძის ქ. N16-ში
- ✓ ხოშარაულის ქ N29

- ✓ ბოხუას ქ. N10-ში (ბ.გ ბლოკი)
- ✓ პეტრე იბერის ქუჩაზე (6-7-8-9-10 ბლოკები)

სამშენებლო კომპანია სვეტის 2000 ზე მეტი დაზარალებული ოჯახი

- ✓ მირცხულავას ქ. N 9-11
- ✓ ნუცუბიძის ქ.N125
- ✓ ჭყონდიდელის N22

სხვა დანარჩენი კომანიების მიერ დაზარალებული 1000 ოჯახი

- ✓ დიღმის მასივი, მარშალ გელოვანის 53ა
- ✓ ნიკოლოზ ყიფშიძის ქ. N1
- ✓ ალ. ყაზბეგის ქ. N34
- ✓ თამარაშვილის ქ. N13ა N13ბ N13გ

გეოგრაფიული ობიექტების სახელდება

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 47 გეოგრაფიული ობიექტის სახელდება
მათ შორის აღსანიშნავია :

- თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, არტოს ბაღს ლეგენდარული ქართველი კომპოზიტორის, გია ყანჩელის სახელი მიენიჭა.

  სიმბოლურია, რომ დიდი მაესტროს სახელის უკვდავყოფა სწორედ აღნიშნულ ბაღს დაუკავშირდა. არტოს ბაღი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს და ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან, აქ დიდი ხელოვანები იკრიბებოდნენ და თავიანთ შემოქმედებას ერთმანეთს უზიარებდნენ. გია ყანჩელსაც მის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა.

საკრებულოს სხვა აქტივობები

- თბილისის საკრებულოში ჰოლოკოსტის მსხვერპლთა სხოვნის საერთაშორისო დღე აღინიშნა. თბილისის საკრებულოს, საქართველოში ისრაელის საელჩოს და ორგანიზაცია „ისრაელის სახლის“ ინიციატივით, დედაქალაქში ჰოლოკოსტის მსხვერპლთა სახელობის სივრცე მოეწყობა. თბილისი იქნება ერთ-ერთი იმ ქალაქთაგანი, სადაც ასეთი ადგილი იქნება

- „ადგილობრივი თვითმმართველობა სტუდენტებისთვის“ - ამ სახელწოდებით ბათუმში ახალგაზრდული ფორუმი გაიხსნა. ფორუმის გახსნას საქართველოს პრემიერ მინისტრთან, თბილისის მერთან და აჭარის მთავრობის ხელმძღვანელთან ერთად საკრებულოს თავმჯდომარე ესწრებოდა. ფორუმის ჩატარების ინიციატივა თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით განხორციელდა. ფორუმი მიზნად ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ახალგაზრდული პოლიტიკის მხარდაჭერას და მათი განხორციელების ხელშეწყობას ისახავდა, რომელშიც სტუდენტები საქართველოს ყველა რეგიონიდან იყვნენ ჩაერთული.

- „თბილისობა 2020“-ის ფარგლებში, საპატიო თბილისელების დაჯილდოვების ცერემონია გაიმართა. საპატიო თბილისელის წოდება პანდემიასთან მებრძოლ რვა ქართველ ექიმს და საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით მწერალ გურამ დოჩანაშვილს მიენჭა

- საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრმა ტოლერანტობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გამართა, რომლის ფარგლებშიც საკრებულოს თავმჯდომარეს ტოლერანტობის ქომაგის წოდება მიენიჭა. თბილისის საკრებულოში ეროვნული უმცირესობების საბჭო ფუნქციონირებს.

მუნიციპალიტეტის ინიციატივები პანდემიის პირობებში

თბილისის საკრებულო, შუერთდა პარტია "ქართული ოცნების" ინიციატივას და მომდევნო სამი თვის განმავლობაში კორონავირუსთან ბრძოლის ფონდში, უმრავლესობის წევრებმა საკუთარი ხელფასის 1/3-ს გადარიცხეს.

მუნიციპალიეტეის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თანახმად:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დაახლოებით 500 მოსარგებლე, 3 თვის განმავლობაში, სარგებლობის ქირის გადასახადისგან გათავისუფლდა
- ღია კაფის მოწყობის მიზნით გაცემული მიწის ნაკვეთების დაახლოებით 150 მოიჯარე და ქვემოიჯარე, საიჯარო ქირის გადახდისგან, წლის ბოლომდე გათავისუფლდა
- იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები - დაახლოებით 9300-ზე მეტი აბონენტი - საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის დაწესებული მოსაკრებლის გადახდისგან გათავისუფლდა
- მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის და სოციალურ ქვეპროგრამებში დასაქმებული ადამიანები, ასევე სახელოვნებო სკოლებისა და “მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის" პედაგოგები, მიუხედავად ბენეფიციართა შეზღუდული მომსახურებისა, მარტისა და აპრილის ხელფასს შეუფერხებლად მიიღეს

თბილისის საკრებულომ, კერძო სექტორთან ერთად, სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი (ოთხი და მეტი შვილი) ოჯახების დახმარების კამპანია დაიწყო.

კამპანიას საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და ფიზიკური პირებიც შეუერთდნენ.
ერთობლივად განხორციელებული დონაციით, საკვები პროდუქტებითა და პირველადი მოხმარების ნივთებით 3000-მდე ოჯახს გაეწია დახმარება.

Covid19-ის ფარგლებში ასევე განხგორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ სადეზინფექციო სამუშაოები - 7700მდე გაჩერება, მეტროს ამოსასვლელები, ხალხმრავალი წერტილები
- ✓ მოირეცხა 100 მდე ქუჩა.
- ✓ მიუსაფარი ცხოველების გამოკვება
- ✓ მემორანდუმი წითელ ჯვართან - მოხალისეების გადამზადება
- ✓ უფასო სასადილოებში საკვების დარიგება
- ✓ საბავშვო ბაღებში საკვების დარიგება დაახლოებით 60 000 ოჯახისათვის
- ✓ მარტოხელა მოხუცების დახმარება - საკვების, წამლების და სხვადასხვა საჭირო ნივთების სახლში მიტანით
- ✓ თბილისში არსებული 3 სოციალური საცხოვრისის პირთათვის პროდუქტების მიტანა
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 300 პირზე ჰიგიენური და არამალფუჭებადი პროდუქტების მიტანა
- ✓ კულტურის ობიექტების ხანდაზმული და რისკ ჯგუფში შემავალი პირებისთვის პროდუქტების გადაცემა

საგარეო ურთიერთობები

დედაქალაქისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით შეხვედრა გაიმართა საქართველოში ბულგარეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან დესისლავა ივანოვასთან.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის გამყოფ ხაზთან არსებული ვითარების ადგილზე გაცნობის და საოკუპაციო რეჟიმის ქმედებებზე მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საკრებულოს თავმჯდომარე ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესის პრეზიდენტ ანდრეას კნაპესთან და კონგრესის გენერალურ მდივან ანდრეას კიფერთან ერთად, იმყოფებოდა სოფელ ხურვალეთში, საოკუპაციო ხაზთან.

ნიდერლანდების სამეფოს ელჩთან, მაიკე ვან კოლდამთან ერთად, მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ორგანიზაცია „აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის“ (EECMD) და თბილისის დემოკრატიული სკოლის მოსწავლეების მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში, რომელიც ონლაინ ფორმატში წარიმართა.

წარმომადგენლობის საქმიანობა სამგორის სამაჟორიტარო ოლქში

მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენლობაში მოსახლეების მხრიდან შემოსული განცხადებების, ასევე წარმომადგენლობის თანამშრომლების მიერ ადგილზე მოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციების გაანალიზებით სამაჟორიტარო ოლქში გამოვლენილ და იდენტიფიცირებული იქნა პრობლემები სხვადასხვა მიმართულებებით.

მაჟორიტარი დეპუტატის მიერ მოქალაქეთა მიღება ხდება სისტემატურად ოთხშაბათ დღეს.

წარმომადგენლობის ფუნქციონირების პერიოდში, მსოფლიო პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების ფონზე, ორგანიზებული იქნა მაჟორიტარი დეპუტატის შედარებით მცირე რაოდენობის შეხვედრა წარმომადგენლობაში, ხოლო სამაჟორიტარო ოლქში მცხოვრებ მოქალაქეებთან კომუნიკაციის მიზნით ჩატარდა გასვლითი შეხვედრები. საერთო ჯამში ზეპირი კონსულტაცია გაეწია 900-მდე მოქალაქეს.

მაჟორიტარი დეპუტატის სახელზე რეგისტრირებულია 150-მდე განცხადება. მოქალაქეებს წერილობითი შუამდგომლობა გაეწიათ, მათ შორის 123 შუამდგომლობა დადებითად დაკმაყოფილდა. ხოლო, ნაწილი განხილვის პროცესშია.

მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები

- ✓ ლილოს დასახლებაში, N 107 საჯარო სკოლის მიმდებარედ, სპორტული ცენტრის ტერიტორიაზე, მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით, მოეწყობა საცურაო აუზი, ღირებულებით 1 439 439 ლარი. პროექტი მოიცავს საცურაო აუზს სიგრძით 18 მეტრი, სიგანით 12.5 მეტრი, ხოლო სიღრმით 0.8 – 1.6 მეტრი, ფიტნეს დარბაზს, სველ წერტილებს, გასახდელებსა და მისაღებს.

- **ლილოს დასახლებაში, ევგენი აფხაზავას ქუჩაზე** - მიმდინარეობს ახალი ბაღის მშენებლობა,ღირებულებით 4 357 385 ლარი. ბაღი ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, 400-მდე აღსაზრდელის მიღებას შეძლებს, რაც სამგორში მცხოვრები ოჯახებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ახალი ბაღი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად შენდება, შენობას ექნება კეთილმოწყობილი შიდა და გარე სივრცეები და უზრუნველყოფილი იქნება ბავშვთა უსაფრთხოება.

- **ვარკეთილის მეურნეობის საბავშვო ბაგა-ბაღი** - იმის გამო, რომ არსებული შენობა მძიმე მდგომარეობაშია, მოხდება არსებული შენობის დემონტაჟი და ამავე ტერიტორიაზე დაიწყება ახალი ბაღის მშენებლობა.

სპორტული ობიექტების მოწყობა

- ✓ ვარკეთილის დასახლება - რეაბილიტირდა არსებული ძველი სპორტული დარბაზი და ახალგაზრდებში ჯანსაღი, სპორტული ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით მოეწყო სპორტული კომპლექსი, სადაც განთავსდა ჭიდაობის, ტანვარჯიშისა და ფიტნეს დარბაზები.

რეაბილიტაციამდე

რეაბილიტაციის შემდეგ

- ✓ ლილოს დას, I მკრ-ნი, N 15 და N 16 კორპუსების მიმდებარედ - 370 კვ. მ ფართობზე მოეწყო ფეხბურთისა და კალათბურთის კომბინირებული, ხელოვნურსაფარიანი მოედანი, ღირებულებით 72 652 ლარი. სტადიონთან დამონტაჟდა გარე განათების სისტემა, მოეწყო სპეციალური პანდუსი და გარემო ადაპტირდა შშმ პირთათვის.

სტადიონის მოწყობამდე:

სტადიონის მოწყობის შემდეგ:

- ✓ აეროპორტის დასახლება, N35 კორპუსის მიმდებარედ - 720 კვ. მ ფართობზე მოეწყო ფეხბურთისა და კალათბურთის კომბინირებული, ხელოვნურსაფარიანი მოედანი ღირებულებით 113 788,17 ლარი.

სკვერებისა და რეკრეაციული ზონების მოწყობა

- ✓ წინუბანი, მშვიდობის ქუჩა N 12 – 610 კვ.მ ფართობზე მოეწყო სკვერი. ტერიტორიაზე განთავსდა საბავშვო ატრაქციონები, დასასვენებელი პავილიონი, ფიტნეს ზონა, საბაღე და საქანელა სკამები. საფეხმავლო ბილიკები დეკორატიული ქვებით მოპირკეთდა, ტერიტორია დამცავი ღობით შემოიფარგლა და მოეწყო გარე განათების სისტემა. პროექტის შესასრულებლად სამგორის გამგეობის ბიუჯეტიდან 106 743 ლარი გამოიყო.



- ✓ 3 არკეთილის დასახლება, მეგობრობის ქუჩა - მოეწყო დასასვენებელი სივრცე. ტერიტორიაზე განთავსდა საბაღე სკამები და ურნები. დამონტაჟდა გარე განათების სისტემა და საფეხმავლო ბილიკები დეკორატიული ფილებით მოპირკეთდა. პროექტის შესრულებისთვის სამგორის გამგეობის ბიუჯეტიდან 31 034 ლარი გამოიყო.
- ✓ ორხევში, ახვლედიანის და აბზიანიძის ქუჩებს შორის მიმდინარეობს სკვერის მოწყობითი სამუშაოები.

ზოგადი განათლება

<u>საჯარო სკოლები</u>

- ლილოს დასახლება № 168-ე საჯარო სკოლა
  - ✅ ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, ღირებულებით - 346 816 ლარი.

  შესრულებული სამუშაოები:

  1. სან-კვანძი
  2. სახურავი -150კვმ.
  3. პარაპეტი - 312კვმ.
  4. ღობე - 140გრძ.მ.
  5. გათბობა სრული

- აეროპორტის დასახლება - № 76-ე საჯარო სკოლა
  - ✅ ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, ღირებულებით - 184 458 ლარი.

  შესრულებული სამუშაოები:

  1. სან-კვანძი
  2. საკლასო ოთახები - 820კვმ.

- ორხევის დასახლება - № 156-ე საჯარო სკოლა

სკოლა საკმაოდ დიდია, ათასამდე მოსწავლეზე გათვლილი, თუმცა, სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვას შენობის სავალალო მდგომარეობა უშლიდა ხელს.

- ✅ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, განხორციელდა სკოლის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 1 225 554 ლარი, რის შედეგადაც მოწესრიგდა როგორც საგანმანათლებლო, ასევე სპორტული სივრცე.

შესრულებული სამუშაოები:

1. საკლასო ოთახები - 960კვმ.
2. დერეფნები - 800კვმ.
3. სან-კვანძები
4. სარინელი - 215
5. გათბობა სრული
6. სახურავი - 300კვმ.
7. სპორტ დარბაზი - 337კვმ.
8. ფასადი სპორტული დარბაზის - 600კვმ.
9. კიბე სპორტული დარბაზის
10. წინაფრა სპორტული დარბაზის
11. ამწე შშმ პირებისთვის

- ვარკეთილის მეურნეობა - № 215-ე საჯარო სკოლა

  - ✅ ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, ღირებულებით - 284 714 ლ.

შესრულებელი სამუშაოები:

1.სან-კვანძი
2.საკლასო ოთახები - 860კვმ.
3.დერეფნები - 300კვმ.

- დიდი ლილო - 217-ე საჯარო სკოლა
  - ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, ღირებულებით - 349 554 ლარი.

შესრულებული სამუშაოები:

1. საკლასო ოთახები - 1276კვმ.
2. დერეფნები - 724კვმ.
3. პანდუსი

- პატარა ლილოს საჯარო სკოლა
  - განხორციელდა სანიტარული კვანძების სრული რეაბილიტაცია

სკოლამდელი აღზრდა

#116 - ლილოს დასახლება, საქნავთის დასახლება - კოსმეტიკური რემონტი გაკეთდა ჯუფებში, საძინებლებში, სველ წერტილებზე, გარემონტდა ჯგუფებში არსებული სამზარეულოები.

#12 - აეროპორტის დასახლება - მოეწყო ბაღის ეზოს ინფრასტრუქტურა.

დიდი ლილოს ბაგა-ბაღი - განხორციელდა ეზოს კეთილმოწყობა.

ტრანსპორტი

გამართული მუნიციპალური ტრანსპორტი ერთ-ერთი მთავარი საკითხია. სამაჟორიტარო ოლქში მცხოვრები მოსახლეობის მხრიდან მომართვიანობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ მაღალია. აღსანიშნავია, რომ სამაჟორიტარო ოლქში ავტოპარკის განახლების პროცესი ჯერ კიდევ წინა წლიდან დაიწყო:

- ორხევში, ავტობუსების N56 ხაზზე და დიდ ლილოში, ავტობუსების N12 ხაზზე არსებული ძველი ავტობუსები - ,,ISUZU"-ს მარკის 8 მეტრიანმა ავტობუსებმა ჩაანაცვლა.
- დიდ ლილოში N1 ხაზზე არსებული ძველი ავტობუსები - ,,MAN"-ის მარკის 10 მეტრიანმა ავტობუსებმა ჩაანაცვლა.
- ნასაგურში, ავტობუსების N 22 ხაზზე არსებული ძველი ავტობუსები ჩაანაცვლა ,,ISUZU"-ს მარკის 8 მეტრიანმა, დიზელის ძრავაზე მომუშავე euro 6 ემისიის სტანდარტის ავტობუსებმა.
- პატარა ლილოში, ავტობუსების N 18 ხაზზე არსებული ძველი ავტობუსები ჩაანაცვლა ,,ISUZU"-ს მარკის 8 მეტრიანმა, დიზელის ძრავაზე მომუშავე euro 6 ემისიის სტანდარტის ავტობუსებმა.
- წინუბანში, N 41 ხაზზე არსებული ძველი ავტობუსები ჩაანაცვლა ,,ISUZU"-ს მარკის 8 მეტრიანმა, დიზელის ძრავაზე მომუშავე euro 6 ემისიის სტანდარტის ავტობუსებმა.
- აეროპორტის დასახლებაში #37 ხაზეე არსებული ძველი ავტობუსები ჩაანაცვლა ,,ISUZU''-ს მარკის 8 მეტრიანმა, დიზელის ძრავაზე მომუშავე euro 6 ემისიის სტანდარტის ავტობუსებმა.
- უახლოეს მომავალში მოხდება № 8 ავტობუსი - აეროპორტი - მ/ს ისანი, ძველი ავტობუსების ახლით ჩანაცვლება

ახალი ავტობუსები:

- ✓ მთლიანად ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.
- ✓ აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტის, ინტეგრირებული გათბობის, კონდიცირებისა
  და ვენტილაციის საინფორმაციო ხმოვანი სისტემებით.
- ✓ უზრუნველყოფილია ვიდეომონიტორინგის სისტემითა და usb-დამტენებით.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები

წარმომადგენლობის ქ. თბილისის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და სამგორის რაიონის გამგეობასთან ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად სამაჟორიტარო ტერიტორიაზე შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურების მიერ განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები

- საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით, სამუშაოები განხორციელდა შემდეგ მისამართებზე:

- ✓ ლილოს დასახლება, სტურუას ქუჩა - 14 500 კვ.მ ფართობზე კაპიტალურად მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა, ღირებულებით 718000 ლ. პროექტის ფარგლებში, დაიგო ასფალტის ორფენიანი საფარი, მოეწყო ბორდიური და ტროტუარები. ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასრულების შემდეგ, განთავსდა შესაბამისი ნიშნები და ჩატარდა საგზაო მონიშვნების დახაზვის სამუშაოები.
- ✓ ლილოს დასახლება - მოეწყო N168 საჯარო სკოლასთან მისასვლელი საფეხმავლო გზა. დაიგო ასფალტის საფარი და მოეწყო ბორდიური; პროექტის ღირებულება - 10950 ლარი.
- ✓ ლილოს დასახლება, ჭირნახულის შესახვევი N12-დან იგორ ტყემალაძის ქ. N4ა-მდე - მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა. 550 კვ.მ ფართობზე დაიგო ასფალტის საფარი, ღირებულებით 18819 ლარი.
- ✓ ლილოს დასახლება, ლოჭინის დასახლების ხიდიდან ჭირნახულის ქუჩის ბოლო გაჩერებამდე - ჩატარდა საგზაო სამუშაოები.

- ✓ დიდი ლილო, ტაძრის ქუჩა წმინდა მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიამდე მისასვლელი გზა - ჩატარდა გზის ორმოული სამუშაოები, ღირებულებით 12 000 ლარი.
- ✓ დიდი ლილო, ერეკლე მეორეს ქუჩა - ჩატარდა ორმოული სამუშაოები, ღირებულებით 7583 ლარი.
- ✓ ორხევის დასახლება, ჩანტლაძისა და მუხაძის ქუჩების კვეთა - მოეწყო საფეხმავლო ბილიკები (ორმოული), ღირებულებით 48654 ლ.

- ✓ ორხევის დასახლება, წუწუნავას ქუჩა - 2 400 კვ. მ ფართობზე დაიგო ასფალტის საფარი. ასევე მოეწყო ტროტუარი და ბორდიური. პროექტის შესასრულებლად სამგორის რაიონის გამგეობამ ბიუჯეტიდან 154000 ლარი გამოყო. (წუწუნავას ქუჩაზე საგზაო ინფრასტრუქტურა 40 წლის განმავლობაში არ მოწესრიგებულა)
- ✓ ორხევის დასახლება, მუხაძის ქუჩა კორ. N5-ის მიმდებარედ - ჩატარდა გზის ორმოული სამუშაოები და მოეწყო საფეხმავლო ტროტუარი, ღირებულებით 7409 ლ.
- ✓ ორხევის დასახლება, მუხაძის ქუჩა, კორ. N6/2-ის მიმდებარედ - ჩატარდა გზის ორმოული სამუშაოები, ღირებულებით 3177ლ.
- ✓ ორხევის დასახლება, მუხაძის ქუჩა N6/3 - ჩატარდა ორმოული სამუშაოები, ღირებულებით 7000ლ
- ✓ ორხევის დასახლება, თეთრი ხევის ქუჩა, 1 ჩიხი - განხორციელდა საგზაო სამუშაოები, ღირებულებით 50054ლ.
- ✓ ორხევის დასახლება, გოკიელის ქუჩა - დაიგო ასფალტის საფარი, მოეწყო ბორდიური, ტროტუარი და საცხოვრებელ სახლებთან მისასვლელები.
- ✓ კახეთის გზატკეცილი და აეროპორტის გზა - განხორციელდა აღნიშნული გზების სრული რეაბილიტაცია. კაპიტალური სამუშაოების შედეგად: შეიცვალა საავტომობილო გზის სავალი ნაწილი. დაიგო ასფალტის ახალი საფარი, განახლდა ბორდიურები და მოეწყო სანიაღვრე ქსელი. განახლდა ტროტუარები და გამყოფ ზოლში მოეწყო თვალამრიდები. პროექტის განსახორციელებლად თბილისის მერიის ბიუჯეტიდან 42 937 537 ლარი დაიხარჯა.
- ✓ ასევე, განხორციელდა მონუმენტის - „ადამიანი და მზე“ მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება 3 553 970 ლარია.

- ✓ აეროპორტის დასახლება, რკინიგზის ჩიხი სკვერის მიმდებარედ - ჩატარდა გზის ორმოული სამუშაოები, ღირებულებით 2406 ლარი.
- ✓ აეროპორტის დასახლება, რკინიგზის ჩიხი - 8 400 კვ.მ ფართობზე მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა, ღირებულებით 520 000 ლარი.
- ✓ აეროპორტის დასახლება, სერგო გუჯეჯიანის ქუჩის მონაკვეთი და I ჩიხი შესასვლელებით - ჩატარდა საგზაო სამუშაოები, ღირებულებით 148506.32ლ.

- ✓ ვარკეთილის დასახლება, ჭავჭავაძის ქუჩა - 4 600 კვ. მ ფართობზე კაპიტალურად მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა,ღირებულებით 211413.77 ლარი.

  პროექტის ფარგლებში დაიგო ასფალტის საფარი, მოეწყო ბორდიურები და საცხოვრებელ სახლებთან მისასვლელები და შესახვევები.
- ✓ თვალჭრელიძის ქუჩა - განხორციელდა ქუჩის კაპიტალური რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში 17900 კვ.მ ფართობზე დაიგო ასფალტის ორფენიანი საფარი. მოეწყო ბორდიური და ტროტუარი, ასევე სანიაღვრე ქსელი. საერთო ჯამში მოწესრიგდა 22 810 კვ.მ ფართობის ტერიტორია. (თვალჭრელიძის ქუჩაზე 30 წელი ასფალტის საფარი არ დაგებულა) - მიმდინარე
- ✓ გახოკიძის ქუჩიდან ებრაელთა სასაფლაომდე მისასვლელი გზა - დაიგო ასფალტის საფარი, ღირებულებით 60 000 ლარი.
- ✓ გახოკიძის 30 - ჩატარდა საგზაო სამუშაოები
- ✓ მაისურაძის ქუჩაზე, არსებული სასაფლაოს შესასვლელის მიმდებარე ტერიტორია - ჩატარდა საგზაო სამუშაოები, ღირებულებით 731.46 ლარი.
- ✓ ბერიაშვილის ქუჩა - ჩატარდა გზის ორმოული სამუშაოები, ღირებულებით 18000ლ.
- ✓ კახეთის გზატკეცილი XII კმ. კორ. N1 და N2 - ს მიმდებარედ - ჩატარდა საგზაო სამუშაოები, ღირებულებით 104967.39 ლარი. კერძოდ, მოწესრიგდა კორპუსების ეზო და მისასვლელი გზა. 1500 კვ.მ ფართობზე დაიგო ასფალტის საფარი, მოეწყო ტროტუარი და ბორდიური.
- ✓ კახეთის გზატკეცილი #75 - დაიგო ასფალტის საფარი

წყალარინება და წყალმომარაგების გაუმჯობესება

- ✓ ლილოს დასახლება, სტურუას ქუჩა - მოწესრიგდა მიწისქვეშა კომუნიკაციები, შეიცვალა წყალმომარაგების სისტემა და რეაბილიტირდა წყალარინების ქსელი.
- ✓ საქნავთობის დასახლება, #3, 36, 37-ე კორპუსებთან მოეწყო საკანალიზაციო ქსელი
- ✓ წინუბანი, ხევსურეთის ქუჩა - მოეწყო 362 გრძივი მეტრის სანიაღვრე ქსელი
- ✓ წინუბანი - დასრულდა არსებული ცენტრალური საკანალიზაციო ქსელის ნაწილობრივი რეაბილიტაცია - მოწყობა.
- ✓ ნასაგური, ნაძვების ქ. N 4 - მოეწყო კანალიზაცია
- ✓ ნასაგურის ბაღში - მოეწყო კანალიზაცია
- ✓ დიდი ლილო არჩილ მეფის ქუჩაზე შეიცვალა წყალსადენი მილები
- ✓ ორხევის დასახლება, წუწუნავას ქუჩა - მოწესრიგდა მიწისქვეშა კომუნიკაციები, რის შედეგადაც მოეწყო წყალარინებისა და სანიაღვრე ქსელები.
- ✓ ვარკეთილის დასახლება, მეგობრობის 5 - დამონტაჟდა წყალსაწრეტი მილები

<u>სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერები და ,,ზებრა“ გადასასვლელები:</u>

- ➢ წინუბანი, მშვიდობის 34-ის მიმდებარედ - დამონტაჟდა 2 სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერი
- ➢ წინუბანი, 219-ე სკოლის მიმდებარედ - დამონტაჟდა 2 სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერი
- ➢ წინუბანი, მშვიდობის ქუჩა, სტადიონის მიმდებარედ - დამონტაჟდა 1 სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერი
- ➢ ლილოს დასახლება, ნამორაძისა და სტურუას ქუჩის კვეთა - დაიხაზა 2 ,,ზებრა“ გადასასვლელი
- ➢ ლილოს დას, სტურუას ქუჩა, მკრ-ნი 1, კორპ 16-ის მიმდებარედ - დაიხაზა 1 ,,ზებრა“ გადასასვლელი“
- ➢ ნასაგური, ნახშირგორის ქუჩა N 21-ის მიმდებარედ - დამონტაჟდა 1 სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერი
- ➢ ნასაგური, ნახშირგორის ქუჩა N 27-ის მიმდებარედ - დამონტაჟდა 1 სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერი

- ნასაგური, ნახშირგორის I ჩიხის მიმდებარედ - დამონტაჟდა 1 სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერი

<u>**დაზიანებული ნაგვის ურნების შეცვლა:**</u>

ლილოს დასახლება - ოლქის ტერიტორიაზე სხვადასხვა მისამართებზე შეიცვალა 100-მდე ნაგვის ურნა

მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

- კაკლიანის ქუჩა - მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები
- ვარკეთილის დასახლება, ვაჟა-ფშაველას ქუჩა - მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები
- დიდი ლილო - მიმდინარეობს სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები.
- დიდი ლილო, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა - მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები
- დიდი ლილო, ილია ჭავჭავაძის ქუჩა - მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები
- ლილოს ცენტრალურ მაგისტრალზე მიმდინარეობს გარე განათების მოწყობა
- საქნავთის დასახლება, N36, N37 და N3 კორპუსების მიმდებარედ - ხორციელდება საგზაო სამუშაოები, ღირებულებით 84 799 ლარი. ასფალტის საფარი 2 000 კვ.მ ფართობზე იგება, ირგვლივ ბორდიური და ტროტუარები ეწყობა.
- ლილოს დასახლება, ლოჭინი - მიმდინარეობს სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები.

დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

- დაგეგმილია ვარკეთილის დასახლებაში ყოფილი სააქტო დარბაზის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ფეხბურთის სტადიონის რეაბილიტაცია და მასთან ერთად მოეწყობა ფრენბურთის სტადიონი.
- ვარკეთილის დასახლებაში, რუსთაველის ქუჩაზე განხორციელდება წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია. სამუშაოების დასრულების შემდეგ განხორციელდება გზის საფარის რეაბილიტაცია.

- ერეკლე მე-2 -ის მე-4 შესახვევი - დაგეგმილია წყალსადენის ქსელის მოწყობა (დღე დღეზე დაიწყება)
- ვარკეთილის დასახლებაში გუდამაყრის ქუჩის დარჩენილ ნაწილზე ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ უახლოეს მომავალში იგეგმება წყალარინების სისტემის მოწესრიგების სამუშაოები. სამუშაოების დასრულების შემდეგ აღნიშნულ ქუჩაზე განხორციელდება გზის საფარის რეაბილიტაცია.
- ორხევში ესენინის ქუჩაზე დაგეგმილია საკანალიზაციო და წყალსადენის ქსელის მოწყობა. სამუშაოების დასრულების შემდეგ განხორციელდება გზის საფარის რეაბილიტაცია.
- წინუბანი, რკინიგზის ქუჩაზე დაგეგმილია წყალარინების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია.
- წინუბანი, რკინიგზის ქუჩა - განხორციელდება საგზაო სამუშაოები
- წინუბანი, ხევსურეთის ქუჩის დარჩენილ ნაწილზე დაიგება ასფალტის საფარი.
- დიდი ლილო - მოეწყობა სკვერი
- ლილოს დასახლება, მეფრინველეთა ქ. N16 - განხორციელდება საგზაო სამუშაოები
- ლილოს დასახლება, აფხაზავას ქუჩაზე (ეკლესიის მიმდებარედ) დაიწყება არსებული სკვერის რეაბილიტაცია.
- აეროპორტის დასახლება, ეკლესიის მიმდებარედ -იგეგმება სკვერის მოეწყობა

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ მოთხოვნილ მისამართებზე განხორციელდა სხვადასხვა სამუშაოები

ლილოს დასახლება, II კვტ. კორპ. №9	კიბისა და პანდუსის მოწყობა
ლილოს დასახლება, მე-2 კვარტალი, კორპუსი 9	ბრტყელი სახურავი
ლილო, მე-2 მ/რ, კორპუსი 5	სადარბაზოს შიდა რემონტი
საქნავთის დასახლება 36	შიდა წყალკანალიზაცია
საქნავთის დასახლება 36	ბრტყელი სახურავი
დიდი ლილო კორპუსი 1	სენსორული განათება
დიდი ლილო წერეთლის 14	ქანობიანი სახურავი
ლილო, მე-4 კვარტალი, კორპუსი 10	წყალსაწრეტი მილები
ლილო, მე-4 კვარტალი, კორპუსი 10	სენსორული განათება
ლილოს დასახლება, მე-5 კვარტალი, კორპუსი 1	შიდა წყალკანალიზაცია
ლილოს დასახლება, მე-5 კვარტალი, კორპუსი 1	ბრტყელი სახურავი
ლილო 1 მ/რ კორპუსი 13	ლიფტი
ლილო მე-5 კვარტალი კორპუსი 2	ბრტყელი სახურავი
ლილო, მე-4 კვარტალი, კორპუსი 12	სენსორული განათება
ლილო მე-5 კვარტალი კორპუსი 2	შიდა წყალკანალიზაცია
გივი ამილახვრის 11	სადარბაზოს შიდა რემონტი
აეროპორტის დასახლება 12	ქანობიანი სახურავი
ვარკ. მეურნეობა, სამგორის ქუჩა 11	ქანობიანი სახურავი
ვარკეთილის დასახლება, სამგორის ქუჩა 2	ქანობიანი სახურავი
ვარკეთილის დასახლება, სამგორის ქუჩა 2	წყალსაწრეტი მილები
წერეთლის 14	წყალსაწრეტი მილები
გივი ამილახვრის 11	კიბე
აეროპორტის დასახლება 33	შიდა წყალკანალიზაცია
აეროპორტის დასახლება 33	სადარბაზოს შიდა რემონტი
ვარკეთილის მეურნეობა მეგობრობის 5	შიდა წყალკანალიზაცია

<u>ტრენაჟორები მოეწყო შემდეგ მისამართებზე:</u>

- ✓ ლილოს დასახლება, კვ IV, კორპ. №12-ის მიმდებარედ
- ✓ ლილოს დასახლება, I მ/რ კორპ. №12-13 შორის
- ✓ ლილოს დასახლება,ნახუცრიშვილის ქ. №48-ის მიმდებარედ
- ✓ სადგური ლილო კორპ. №1-2-ის მიმდებარედ
- ✓ წინუბანი, მშვიდობის ქ. N12 სკვერში
- ✓ ვარკეთილის დასახლება. რუსთაველის ქ. №18-ის მიმდებარედ
- ✓ ორხევის დასახლება,, გ. ამილახვრის ქუჩა N11
- ✓ აეროპორტის დასახლება, კორპ. №7-ის მიმდებარედ
- ✓ ალექსეევკის დასახლება, I ქ. სტადიონთან
- ✓ თვალჭრელიძის ქ.III შესახ. №7-ის მიმდებარედ
- ✓ ბერიაშვილის ქუჩა N6
- ✓ კახეთის გზატკეცილი 65

მნიშვნელოვანი პროექტი ლილოსთვის

ლილოს ნაგავსაყრელის პრობლემის მოგვარებისთვის უკვე კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა, რასაც სამგორის რაიონის მოსახლეობისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. მუნიციპალიტეტის აქტიური მუშაობის შედეგად, ბელგიურმა კომპანიამ „ჯეო კონსულტანტმა“ უკვე შეადგინა კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ნაგავსაყრელზე კონკრეტული გარემოსდაცვითი ღონისძიებები გატარდება

- საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე წარმოქმნილი ბიოგაზის გაფრქვევის აღკვეთის და გაზის ღირებულ ბროდუქტად გარდაქმნის მიზნით იგეგმება გაზშემკრები სისტემის მოწყობა და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკება EBRD-თან. პროექტის სავარაუდო ღირებულება 57 410 000 ლარია.
- საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე იგეგმება არსებული ნაჟური წყლების გამწმენდი სისტემის ახლით ჩანაცვლება, რათა სრულყოფილად გაიწმინდოს პოლიგონზე წარმოქმნილი ნაჟური წყლები. მუნიციპალიტეტმა უკვე დაიწყო მოლაპარაკებები, სამუშაოების დაწყების შესახებ. მიმდინარეობს მიღებული ინფორმაციის ანალიზი, ტექნიკური დავალების შესადგენად. ღირებულება 7 000 000 ევრო.
- საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე ნარჩენების განსათავსებლად მე-4 უჯრედის მშენებლობა იგეგმება. მე-4 უჯრედის მშენებლობა იგეგმება 10 ჰა მიწის ნაკვეთზე, რომლის სავარაუდო ექსპლოატაციის ვადა იქნება მინიმუმ 5 წელი. მშენებლობის ღირებულება 15 300 000 ლარია.
- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის პოლიგონთან მისასვლელი გზის (1.2 კმ) რეაბილიტაცია იგეგმება.

საცხოვრებელი ფართების დაკანონება

სამაჟორიტარო ოლქში ერთ-ერთი აქტუალური საკითხია ფართების დაკანონება. ამ კუთხით წარმომადგენლობაში მოსახლეობის მხრიდან გრძელდება მომართვიანობა. მაჟორიტარი დეპუტატი სამგორის რაიონის გამგეობასთან ერთად აღნიშნული საკითხის შესწავლა-მოგვარების მიზნით აქტიურად ახორციელებს მოსახლეობასთან შეხვედრებს.

წარმომდგენლობის თანამშრომლები კონსულტირებას უწევენ მოსახლეობას საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებასთან დაკავშირებით.

დაკანონდა:

1. აეროპორტის დასახლებაში, რკინგზის ჩიხის მიმდებარედ - 4 ოჯახი
2. ლილოს დასახლებაში, პირველი მ/რ კორპუსი N 13 -ში-1 ოჯახი
3. საქნავთობის დასახლება, ჭირნახულის ქუჩა -5 ოჯახი
4. სტურუას ქუჩა N29 – 1 ოჯახი
5. გახოკიძის ქ. N 8 – 2 ოჯახი

საცხოვრებელი ფართების პრივატიზების პროცესი გრძელდება.

მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება

კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის ფონზე, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განგორციელდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, მათ შორის, სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარების გაწევა.

მაჟორიტარმა დეპუტატმა საკვები პროდუქტები და პირველადი მოხმარების ნივთები სამაჟორიტარო ოლქში მცხოვრებ ოჯახებს გადასცა.

სამაჟორიტარო ტერიტორიაზე მცხოვრებმა შესაბამისი კატეგორიის 130 -მდე ოჯახმა არაერთხელ მიიღო აღნიშნული დახმარება.